# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**№ 63**

**წელიწადი პირველი**

= 1912 =

**სამშაბათი, 11 დეკემბ.**

რედაქცია მოთავსებულია **ქუთაისში**, Iვანოვის ქუჩაზე, 3. 0. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.



## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე **1913** **იმერეთი** წელიწადი მეორე **1913**

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივლისთვის ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

**ჩამოთვლილი პირობებით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში:**

ქუთაისში—გაზ. იმერეთის კანტორაში, ივანოვის ქ., ჭილაძის სახლი; ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში"—ისიდორე კვიცარიძესთან, ქალაქის ბაღის პირდაპირ; ამბროსი ხვინგიასთან, საბაკალეინო სავაჭროში (დულძის მიდორზე) და თეთრი ხიდის თავში, მოვაჭრე ალიხანოვთან; ბაქოში—გრიგოლ ნიჟარაძესთან; ჭიათურაში—შილაკაძესთან, ფოთში—სიმონ ორაგველიძესთან, სამტრედიაში—ვ. ახობაძესთან, ზესტაფონში—ი. კაკაბაძესთან, ოზურგეთში—მოსე თალაკვაძესთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, ბათომში—გ. მახარაძესთან, ხაშურში—იოსებ ყაჭეიშვილთან, ხონში—წერა-კითხვის გ. ს. სევერიანე კაკაბაძესთან; დანხუთში—ვ. კალანდაძესთან; სენაკში—ვ. კალანდაძესთან; აბაშაში—პლ. ლეჟავასთან; ჩოხატაურში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ზუგდიდში—ნიკო ბერიძესთან და თფილისში—ჟურნალ-გაზეთების ბიუროსთან.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ", Антону Михайловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

აბა, მოსწიეთ პაპიროსი „ანი" 15 ცალი 6 კ. 25 ცალი 2 შაურათ. აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი".

აბა, მოსწიეთ პაპიროსი „ბელაია რომაშკა" 20 ცალი 1 შაურათ. 20 ცალი 1 შაურათ. აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი".

ფართლეულობის ვაჭრობა „რომანოზ ქაიხოსროს-ძის მახარაძისა" ვორონცოვის ქუჩაზე

პირველი ქრისტეშობისთვიდან მოკლე ვადით ნიშნავს

**დიდ იაფ ვაჭრობას** ყოველგვარ საზამთრო ფართლეულისას, როგორც შალეულობისა, აგრეთვე ბამბეულისას, რომლის ფასებში პატივცემული მუშტრები დიდს განსხვავებას დაინახავენ. პატივისცემით **რომანოზ ქ. მახარაძე.**

კონსტანტინე, ყირიმი, ბიჭია და სოლომონ გიორგის ძენი ჭიჭინაძენი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელი ძმის მოწამეთის მონასტრის იგუმენის

**მ ე ს ე მ ე ი ს**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მონასტრის გალავანში მოხდება ოთხშაბათს, 12 დეკემბერს ნაწირვებს.

## ОБЪЯВЛЕНІЕ.

Кутаисское агентство Русскаго Общества, Пароходства и Торговли симъ объявляетъ, что въ 10 час. утра 15 декабря сего 1912 г. въ складѣ его на Воронцовской ул. въ д. Габунія

НАЗНАЧЕНЫ ТРЕТІЕ

**ТОРГИ**

на продажу мануфактурныхъ товаровъ, прибывшихъ изъ Москвы по коносаментамъ за №№ 3742 и 3778 и непринятыхъ грузополучателями въ установленный параграф. 11 уст. О-ва срокъ

**განცხადება.**

რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების სააგენტოში ვარანცოვის ქუჩაზე ფარნა გაბუნიას სახლში, დილით 10 საათზე, 15 დეკემბერს ამა 1912 წ. დანიშნულია მესამეჯერ

**საჯარო ვაჭრობა**

ფართლეულობის საქონელზე, რომელიც გამოგზავნილია მოსკოვიდან კონოსამენტებით №№ 3742 და 3778 და რომელიც საქონლის მიმღებმა საზოგადოების წესდების მე 11-ე §-ის ძალით დანიშნულ დროზე არ გამოიყიდა.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ. ძმ. ოცხელების შენობაში **ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში**, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: **კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები** 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; **კაცის, ქალისა და ბავშების** ყოველნაირი **პალტოები** ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, **ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების** საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით; **კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა ამასთანავე **მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას**, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველ დღე.

ფასები ხელმისაწვდომია და უგაშროთ. პატივისცემით **ა. ახვლედიანი.**

## ორშაბათიდან, 3 ქრისტეშობისთვიდან ვიდრე 24 დეკემბრამდი

საავაჭრო სახლი

**ა. მ. ვართანოვი და ამხ.**

ნიშნავს

**დიდ საშობაო იაფ ვაჭრობას.**

## აქიმი ი. ჩარექოვი.

იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

## ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

**აქიმი** ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოსპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

**აქიმი** ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძის.

კ ბ ი ლ ი ს

**აქიმი** ა. დ. აბაშიძის ასული **ჭიჭინაძისა** იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი, თფილისის ქ. ინჯიას სახლი.

**აქიმი.** ვ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადვიდნენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

პაებზე დაფუძნებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვი და ძმ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ამ მოკლე დროში ვნიშნავ დიდ იაფ

ვაჭრობას

ვაჭრობის დანიშვნის დღე თავის დროზე გამოცხადდება.

ფართლეულობის მაღაზია

ქუთაისში ზ. ს. ბუტულოვისა ქუთაისში

გიმნაზიის ქუჩა, ს. რიჟინაშვილისა. ბულვარის პირად.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას რომ ამა დეკემბრის 8—24-ინ ვნიშნავთ

საშობაო დიდ იაფ-ფასიან

ვაჭრობას

პატივისცემით ზ. ს. ბუტულოვი.

## დღიური.

მუკდენის ციციკარისა და გარინის პროვინციების ჯარის უფროსი პეკინს მიიწვიეს, მონგოლეთის საკითხის გადაწყვეტაში დასასწრებლათ.

— მონგოლებმა ხუტუხტას ტახტზე ასვლის წლის თავი იდღესასწაულეს.

— ვერნში მიწის ძვრა იყო.

— ნოვოჩერკასკში შავი ჭირით ავათმყოფი ამოაჩინეს.

— ოტომანის მთავრობამ დელეგატებს ინსტრუქცია გაუგზავნა, რომლის ძალით ოსმალეთი სკუტაროში, ადრიანოპოლსა და იანინში სურსათის შეტანას მოითხოვს. თუ წინადადება არ მიიღეს, ოსმალეთი მოლაპარაკებას შეწყვეტსო.

— გუშინ ხელი მოაწერეს საბერძნეთ-სერბიის კონვენციას, რომელიც სალონიკსა და ევროპას შორის რკინის გზის წესრიგის მოწყობას შეეხება.

— მცირე აზიაში 2000 ოსმალო ჟანდარმი გაიგზავნა.

— იტალიამ კომფერენციაში წინადადება შეიტანა—მედუაზე სერბიის სუვერენიტეტი დაწესდეს იმ პირობით, რომ მედუასა და სერბიას შორის რკინის გზა ნეიტრალური იქნესო.

— გაზეთები „ლუჩი“ და „პრავდა“ დააკავეს ერთი და იმავე წერილისთვის—„სახელმწიფო სათათბირო და მალინოვსკის სიტყვა“.

— მოსკოვში საერთაშორისო უფლებათა პროფესორი გრაფი კომაროვსკი გადაიცვალა.

## ხმოსნების საყურადღებოთ.

ზოგიერთი ხმოსნის ფიქრით ქალაქის გამგეობის ერთ-ერთი წევრი უთუოდ ინჟენერი უნდა იყოს. როდესაც ინჟენერი გვეყოლება, ველარავინ მოგვატყუებს და ქალაქის ქონება უსარგებლოთ არ გაიფლანგებაო, ბრძანებენ.

ამგვარი ვიწრო შეხედულობა ჩვენი მოქალაქობრივი მოუმწიფებლობის შედეგია.

მახსოვს, რეიხსტაგში ერთხელ დეპუტატებს უთხრა ბისმარკმა:

თქვენ რა იცით, ფლოტს რამდენი ფული დაჭირდებაო! ეს სპეციალისტების საქმეაო და სხ.

ამაზე გამოჩენილმა თავისუფალმა მოაზრემ რიხტერმა მიუგო: კანონმდებლობა რომ მარტო სპეციალისტების ხელში ყოფილიყო, საზოგადოების პროგრესი და წინსვლა შეჩერდებოდაო.

ბატონებო, სამოქალაქო თვითმართველობას თავში უნდა უდგენ ფართო მსოფლმხედველობის კაცები და არა ვიწრო სპეციალისტები. და ყველაზე უფრო იმისთანა კაცი, საჭირო, რომ ინიციატივა ქონდეს და მოქალაქობრივი გამბედაობა შესწევდეს, დიახ! ყოვლის უწინარესათ იმისთანა კაცი გვეჭირვება, რომ ჩვენი მოქალაქობრივი უფლება დაიცვას.

ვისაც ქუთაისის ხმოსნები შორიდან იწვევენ, ჩვენ იმას ვერ ვიცნობთ. მაგრამ, ვფიქრობ, არც ისინი უნდა იცნობდენ.

ნათქვამია: შინაურ ღვდელს შენდობა არ აქვსო. ჩვენი ხმოსნები რომ სხვაგან ეძებენ უცნობს, იციან კი, რომ ის საკმაო ინიციატივასა და სამოქალაქო გამბედაობას გამოიჩენს.

ჩვენი უბედურება ის არის, რომ ერთმანეთი გვძულს. ამის მიზეზი არის, რომ სხვის თვალში ბეწვიც დვირეთ გვეჩვენება, ჩვენს თვალში კი დვირესაც ვერ ვხედავთ.

ქუთაისში რომ ღირსეული კანდიდატები მოგვეპოება ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, ვინც განზრახ თვალს არ იბრმავებს.

მაგრამ თითოეული ჩვენგანი მარტო თავის თავსა სთვლის ღირსეულათ და პატიოსნათ, სხვაში კი მარტო ნაკლულოვანებას ხედავს და ვერაფერ ღირსებას ვერ აჩნევს.

გამიგონია: ეს კაცი არ ვარგა; რადგან ამა და ამ კაცის მეგობრით იყოო, ის კი ავიწყდება ამის მთქმელს, თვითონ რომ უარეს მეგობარს უჭერდა მხარს. და მის მიერ დაწუნებულ კაცს თუ რამე ღვაწლი მიუძღვის, ამაზე ხომ სდუმს, ხმას არ იღებს!

ქვეყანაზე უნაკლულო კაცი არ იქნება და უნაკლულოთა ძებნა მეტადრე ცხრა მთას იქით ამაო იქნება. ხმოსნები მოვალე არიან, იმისთანა კაცი აირჩიონ, ვისაც ვიცნობთ და ვენდობით.

და ამისთანა კაცები ქუთაისშიც არიან. რაღა შორს მირბიან?!

ურო.

## ქუთათური ისტორია-ეთნოგრაფიული საზოგადოება.

(სიტყვა თქმული პირველ საზოგადო კრებაზე).

ჩვენსა და ამგვარსავე თფილისის საზოგადოებას ერთი და იგივე მიზანი, ერთი და იგივე საქმე აქვთ. თუ ეს ასეა, მაშ რამ გამოიწვია, რა გარემოებამ, რა საჭიროებამ ისტორია-ეთნოგრაფიული საზოგადოების დაარსება ქუთაისში? ჩვენ გადაჭრით ვამბობთ—ერთ საერთო საქმისადმი, ერთ საერთო ეროვნულ მიზნისადმი სამსახურის სურვილმა დაგვაარსებია ეს ახალი საზოგადოება. ღრმათ გვწამს, რომ ქუთაისის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოება მხოლოდ წინ წასწევს, გააფართოვებს, ხელს შეუწყობს იმ ეროვნულ-კულტურულ მისიას, რომელიც თავს უდვია ანალოგიურ საზოგადოებას თფილისში. ასეთი დანიშნულება იმდენათ საჭიროთ და აუცილებლათ მიაჩნდათ ჩვენი საზოგადოების დამაარსებელთ, რომ პირდაპირ წესდებაშიც კი შეიტანეს ერთი მუხლი (§ 2), რომელიც ჩვენ საზოგადოებას ავალებს ყოველნაირათ ხელი შეუწყოს თფილისის ქართულ მუზეუმის გამდიდრებას და შევსებას ე. ი. ისეთ მხარეს თფილისის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების მოღვაწეობისას, რომელიც დღესდღეობით ჩვენთვის მეტად დიდ და მნიშვნელოვან საგნათ გამხდარა.

ჩვენ ყოველთვის დიდ დანაშაულათ ერის წინაშე მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ყოველი ნაბიჯი, რომელიც საერთო ეროვნულ ძალებს, თუ პოლიტიკურს, თუ კულტურულს, ისედაც სუსტს ამ ჟამად, აუძლურებს, ანაწილებს, სთიშავს. ჩვენ არ ვიცით იმერ-ამერი და ამის მზგავსი ძალთა გამთიშველი უკუღმართი პრინციპები არა თუ ჩვენი ერის ფარგალში, არამედ სხვადასხვა ერთა შორისაც.

ამ საკითხზე განზრახ შევჩერდით—ჩვენ გვსურს გავფანტოთ ის ყალბი შეხედულება, ის ეჭვი, რომელიც დაებადათ ჩვენში ზოგიერთებს ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების დაარსების გამო ქუთაისში,—ვაი თუ ამ უკანასკნელმა ხელი შეუშალოს თფილისის მზგავს საზოგადოების განვითარებასა და წარმატებასაო. არა, ვარწმუნებ[illegible], რომ ამ ეროვნულ დანაშაულობას ჩვენ არას დროს არ ჩავიდენთ, არას დროს საერთო ეროვნულ იდეალს არ გადავლახავთ, არას დროს მას არ ვუღალატებთ.

მაგრამ რა არის ეს საერთო მიზანი, ეს საერთო საგანი ქართლ-იმერეთის საზოგადოებათა?

ქართველი ერის აწმყო ყოფა-ცხოვრების და უმთავრესად კი წარსულის—მისი ისტორიის, ხელოვნების, მწერლობის და საზოგადოთ კულტურის ყველა დარგების შესწავლა და კვლევა-ძიება,—აი საგანი, რომელსაც ემსახურება ჩვენი და თფილისის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოება. ამ მიზნით იგი საზოგადოება თავს უყრის, იცავს, მეცნიერულათ იკვლევს ისტორიის, არქეოლოგიის, ანტროპოლოგიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, მხატვრობის, მუსიკის და საზოგადოთ მთელი კულტურის ნაშთებს.

როგორც ხედავთ, მიზანი დიდებულია, ფართოა და უაღრესად ჩვენ წარსულ ცხოვრებასა და კულტურას ეხება.

ჩვენ თუ აწინდელთან წარსულსაც არ ვივიწყებთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი ახლის ფუძეთ მიგვაჩნია. ყოველ ერის წარსულში ბევრი რამ არის ჭკუის მასწავლებელი, საგულისხმო, სახელმძღვანელო, ეს თუ საზოგადოთ ითქმის ყოველ კულტურულ ერზე, არა ნაკლების უფლებით ითქმის იგივე ქართველ ერის წარსულის შესახებაც. თუ ჩვენ, როგორც ქართველ ერს, დღევანდლამდი შეგვრჩენია ეროვნული სული, ეს ჩვენ წარსულს უნდა ვუმადლოდეთ. თუ ჩვენ კიდევ ვინმე გვახსენებს, ვინმე გვიცნობს, ისევ წარსულის წყალობით, რომელმაც იმდენი მაინც ღირს-საყურადღებო და ღირსსახსენებელი ხელთქმნილი და ხელუქმნელი ნაშთი დაგვიტოვა, რომ ამ წარსულს ვერ უარვყოფთ, თუ თავზე ხელი არ ავიღეთ.

დიდებული მიზანი აქვს, ვსთქვით ჩვენ, იმ საზოგადოებას, რომელიც დღეიდან იწყებს თავის არსებობას. ხოლო საქმე ის არის, გავუძღვებით ჩვენი ძალებით ამ მიზნისადმი სამსახურს, შეგვწევს ამისთვის საჭირო მომზადება?

როგორც ჩვენ გვესმის საზოგადოების მიზანი, მის მუშაობას ორი მხარე აქვს: თეორეტიული და პრაქტიკული. თეორეტიული მხარე სამეცნიერო საზოგადოებისა, რა თქმა უნდა, მეცნიერულად მომზადებულ პირებს საჭიროებს, რომელნიც, ჩვენდა სამწუხაროდ, თითო-ოროლა თუ მოგვეპოვება. კერძოთ, მეცნიერულად მომზადებული ქართველი ისტორიკოსნი ხომ ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება! ასეთ პირობებში, თავის თავად ცხადია, ერთობ ძნელია, ქუთაისის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოებამ რაიმე შესამჩნევი კვალი დასტოვოს დღესდღეობით ქართულ ისტორიის მეცნიერებაში, რაიმე შესამჩნევი სამეცნიერო შრომანი მოგვცეს. და ჩვენ, აღვიარებთ ამას პირდაპირ, აქ არავის არას ვპირდებით. ამ მხრივ თუ ჩვენმა ახალმა საზოგადოებამ სულ მცირეოდენი მაინც შესძლო, მის მოღვაწეობას ჩვენ უნაყოფოთ და უსარგებლოთ არ ჩავთვლით.

დიახ, სწორედ სამეცნიერო ძალთა სისუსტე გახლავს სხვათა შორის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ გვწადია ამ ჟამად პირველ ყოვლისა ხელი მოვკიდოთ ისეთ პრაქტიკულ მუშაობას, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ადვილათ შეიძლებს, რომელსაც მეცნიერული მომზადება არ სჭირდება. საჭიროა ამისათვის მხოლოდ სიყვარული საქმისადმი, მხნეობა და თავდადება. ასეთ პრაქტიკულ, ჩვენთვის ერთობ საჭირო და მნიშვნელოვან საქმეთ მიგვაჩნია ქართული მუზეის დაარსება ქუთაისში.

თანახმად იმ განმარტებისა, რომელიც ჩვენ უკვე გამოვსთქვით თფილისისა და ქუთაისის ისტორია-ეთნოგრაფიულ საზოგადოებათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, ჩვენ ვეცდებით ქუთაისში განზრახულ მუზეუმში შევკრიბოთ ისეთი ძველი თუ ახალი ნაშთები, რომელთაც უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა ექნებათ, ვიდრე საერთო-ეროვნული. ამასთანავე, თუ ისეთი რამ ჩაგვივარდა ხელში, რომელიც ერთადერთ ეკზემპლიარს (unicum) წარმოადგენს, ამას ჩვენ თფილისის ქართულ ეროვნულ მუზეუმს გადავსცემთ. ამას შემდეგ, ვფიქრობთ, ადგილი არ უნდა ქონდეს არავითარ ეჭვებს იმის შესახებ, რომ ქართული მუზეუმი ხელს შეუშლის თფილისის ამგვარსავე დაწესებულებას. პირიქით, რაკი ასე შემოვფარგლეთ ჩვენი მუზეუმის დანიშნულება ე. ი. განვიზრახეთ მხოლოდ ადგილობრივი, პროვინციალური და არა ეროვნული მუზეუმის დაარსება, ჩვენი ისტ.-ეთნ. საზოგადოება და მისი მუზეუმი ხელს შეუწყობს საერთო ქართულ საქმეს ჯერ ერთი იმით, რომ გაჩნდება მეტი ხელი ძველ კოლექციათა შეკრების საქმეში, რამაც, მოსალოდნელია, თუ თფილისს და თუ ჩვენ ბევრი რამ მისთანა შეგვძინოს, რომელიც, შეიძლება, სამიდღეჩიოთ უკვალოთ დაკარგულიყო, რომ მარტო თფილისის ძალების შემჩერე დავრჩენილიყავით. მეორეც, უნდა კარგათ გვახსოვდეს, ჩვენი საერთო საქმის წარსამატებლათ, ჩვენი ერის და ქვეყნის სასიკეთოდ, საჭიროა, რომ ყოველი კულტურული სიკეთე მთელ საქართველოს ტერიტორიას ეფინებოდეს და მარტო ჩვენის დედა-ქალაქის, ცენტრის საზღვრებით არ იფარგლებოდეს. საჭიროა, რომ ყოველი ქართული კულტურული დაწესებულების შუქმფენი სხივი ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს, ბნელსა და მივარდნილსაც, სწვდებოდეს, თვარა საქართველო არც მარტო თფილისია და საერთო-ეროვნული საქმეც ვერ გაიხარებს, თუ ქართული პროვინციები უყურადღებოთ დავტოვეთ. ახლა, ვგონებ, არავინ ეჭვობს, რომ ქართველთა კულტურულ განვითარების საქმემ ბევრათ მოიგო მას შემდეგ, რაც წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი მთელ საქართველოს მოეფინა, მას შემდეგ, რაც ქართული დრამატიული ხელოვნების საქმე პროვინციებში აღორძინდა, დრამატ. საზოგადოებათა ხელმძღვანელობით, მას შემდეგ, რაც ყოველდღიური პრესა თფილისს გასცილდა—გაზეთები გამოიცა ქუთაისსა, ბათომსა და ამ ბოლო დროს ისეთ პატარა ქალაქებშიც კი, როგორიც არის გორი და სიღნაღი.

დიახ, სიძველეთ-საცავიც კულტურული დაწესებულებაა ერთობ დიდი მნიშვნელობისა ჩვენი პატარა ერისათვის, რომელიც ასეთ დაწესებულებათა მხრით დიდათ ჩამორჩენილია.

განვმარტოთ აქ თქვენ წინაშე მნიშვნელობა სიძველეთ-საცავისა ჩვენთვის,—ეს ჩვენ მეტათ მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ, რომ დიდებული წარსულით თავი მოგვაქვს და ამ წარსულის ნატამალიც კი ვერავისთვის გვიჩვენებია, ვერავისთვის გაგვიცვნია: ჩვენში ამ წარსულისას ვერას ხედავს [illegible] და ვერც ჩვენ თვითონ, რომელნიც ამასთანავე უცხოელთაგან მით გამოვირჩევით, რომ სურვილიც არა გვაქვს ამ წარსულის თუ ნახვისა, თუ შესწავლისა. რა უთხრათ ჩვენ შთამომავლობას, რომელიც წყევლა-კრულვას არ დაგვაკლებს, თუ ამ მდიდარ წარსულიდან ცოტა რამ მაინც არ დავიცევით? რა უთხრათ, როგორ მოვთხოვოთ მოსწავლე თაობას ჩვენი ისტორიისა და კულტურის ცოდნა-შესწავლა, თუ მას შესაფერი მასალა, ერთ ადგილს თავმოყრილი, არ მივეცით? როგორ გაეცნოს იგი ჩვენი ქვეყნის და ერის წარსულ ყოფა-ცხოვრებას, თავგადასავალს, ხელოვნებას, მწერლობას, თუ ამ ცხოვრების, ხელოვნების, მწერლობის და საზოგადოთ კულტურის ისტორია მეცნიერულათ არ დამუშავდა ერთად თავმოყრილ, წერილობით, თუ არა წერილობით, ნაშთების საშვალებით? ვინ გვაპატიებს საშვილიშვილოთ დავუკარგოთ ისტორიულ მეცნიერებას ის დედამიწაში ჩაფლული, თუ დედამიწის ზემოთ მდებარე, ხშირათ მტვერსა და ტალახში დაგდებული საუნჯენი, რომელიც, ვინ იცის, რამდენ ახალს გვასწავლის, რამდენ დაუფასებელ, ძვირფას მასალას შეგვძენს?

აი ასეთი დიდი მნიშვნელობა მუზეუმისა და ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოებისა, როგორც სამეცნიერო დაწესებულებისა, ნებას გვაძლევს მოგმართოთ დღეს თქვენ უმორჩილესის თხოვნით—ხელი შეუწყვეთ ჩვენი ახალი საზოგადოების წარმატება-განვითარებას, ვისაც რით შეგიძლიათ—თუ წევრებათ ჩაწერით, თუ ნივთიერათ დახმარებით, თუ განზრახულ მუზეუმისთვის მასალის შეკრებით, თუ ეთნოგრაფიულ კოლექციათა მოწყობით და სხ. და სხ. ყოველი წვლილი, ყოველი ნაშთი, წერილობითი თუ არა წერილობითი, დიდის მადლობით იქნება მიღებული იმ პირთაგან, რომელნიც ამ საზოგადოებას სათავეში ჩაუდგებიან იმ იმედით, რომ ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს საერთო თანაგრძნობა, მზრუნველობა და სიყვარული არ მოაკლდება.

გრ. გველესიანი.

## ახალი ამბავი.

✦ სატახტო გაზეთ „დენ“-ში ასორმოცდაათი ქართველის მიერ ხელმოწერილი წერილია დაბეჭდილი; გაკიცხულია ის პოზიცია, რომელიც ნადეპუტატარმა ევ. გეგეჭკორმა დაიჭირა დეპუტატ. ვ. გელოვანის მიმართ.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში იმყოფება რუსი ფეხით მოგზაური „სერგეი პროხოჟი“, რომელსაც განუზრახავს აზიის ფეხით შემოვლა; იგი რუსული გაზეთების თანამშრომელია. სამწელიწად ნახევარს მან უნდა გაიაროს 12,500 ვერსი. მოგზაური ცნობებს კრებს ჩვენს ქვეყანაზეც და დიდი მადლობით მიიღებს, ვინც კი მის წარსულსა და აწმყოზე ამბებს მიაწოდებს.

✦ საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების კრებაზე კვირას აირჩიეს კიდეც საზოგადოების თავჯდომარე, წევრნი, გამგე მომავალი მუზეუმისა, მოლარე და სხვ. დროებით შეგროვილი სიძველენი და ნაშთები, სანამ მუზეუმის ბინას აიჩენდენ, შეინახება ქართული გიმნაზიის ერთ ოთახში, რომელიც გიმნაზიის გამგემ დაუთმო ამ საქმეს.

✦ 7 დეკემბერს ქალაქის საშკოლო კომისიამ დაადგინა დეპეში გაეგზავნა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის შესახებ იმისა, რომ მას შეეჩერებია ადგილობრივი დირექციის განკარგულება ქალაქის დაწყებითი შკოლებში რუსული ენის სწავლებისა პირველი წლიდანვე. საშკოლო კომისიამ ამასთანავე დაადგინა შკოლის გამგეებს არ წარედგინათ დირექციისათვის გაკვეთილების სია, თანახმად მისი მოთხოვნილებისა. მიუხედავათ ასეთი დადგენილებისა საქალაქო შკოლის სამს გამგეს დირექციისათვის გაკვეთილების ნუსხა უკვე დაუგზავნია. ასეთი ნუსხა არ წარუდგენია მხოლოდ პირველი საქალაქო შკოლის გამგეს ბ. ოდიშარიას.

მასწავლებელთა ასეთი საქციელი სამართლიან გულისწყრომას იწვევს როგორც ქალაქის გამგეობისა და საშკოლო კომისიისა, აგრეთვე მთელი საზოგადოების მხრითაც.

✦ შემოქმედის დაწყებითი შკოლის მასწავლებელი ვერეტენიკოვი ლოთობის გამო სამსახურიდან დაუთხოვიათ.

✦ ამ დღეებში თფილისში გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი მგალობლიშვილის რედაკტორობით.

✦ დეპუტატის გელოვანის თაოსნობით, კავკასიის რეფორმების შესახებ, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარისათვის შეკითხვა წარუდგენიათ:—როდის წარმოადგენთ სათათბიროში განსახილველათ კავკასიაში ერობის, ნაფიც მსაჯულთა, ასარჩევ მომრიგებელი მოსამართლეთა, სამხედრო სახალხო მართველობის მოსპობისა და სასოფლო მართველობის ცვლილების შესახებ კანონპროექტებსო.

### მოწერილი ამბავი.

**ს. ქვაითი** (ოდიში).

ამ სოფელში მცხოვრებთა რიცხვი 70 კომლს არ აღემატება. დააარსეს ეკლესია და ახლა სასულიერო მთავრობამ მოითხოვა—ეკლესიის მოწყობილება სოფლის ხარჯით იქნას შეძენილი. სოფელი ღარიბია და ეს დღესდღეობით ვერ მოახერხა.

**ს. კორბოული.** (ზემო იმერეთი)

იაკობ გოგებაშვილის სახელობაზე გაიხსნა აქ წიგნ-საცავ სამკითხველო. სამკითხველო უნუგეშო მდგომარეობაშია და ამის გამო მისი გამგეები თუ ფულით თუ წიგნებით საზოგადოებას დახმარებას თხოვენ. დახმარება ამ მისამართით მიიღება: საჩხერე ლვდელი მაჭარაშვილს კორბოულის სამკითხველოსათვის.

**ოდიში.**

ძველ მავნე ჩვეულებას ადგილობრივ მცხოვრებლებში კიდევ დიდი გასავალი აქვს, ქორწილის, დღეობის და გასვენების დროს ხალხი ძალზე ზარალდება. დღეობების დროს ხალხის მხიარულებამ მახინჯი სახე მიიღო. ამ მავნე ჩვეულებათა წყალობით ხალხის ეკონომიური მდგომარეობა უნუგეშოა.

**სოფ. ბახვი.** (გურია).

ეს სოფელი ერთ შესანიშნავ სოფლათ ითვლებოდა აქამდი, მაგრამ ახლა სულ ჩამოქვეითდა: წინათ აქ არსებობდა სასოფლო ბანკი სამკითხველო, და სასოფლო დუქანი, რასაც ახლა ველარ ვხედავთ. შესანიშნავია აგრეთვე შენობები: ქვიტკირის ეკლესია, შკოლა და მაღაზიები. ამ სოფელს ერთ დროს გაბრიელ ეპისკოპოზმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა ფულითა და განათლების მხრითაც. სწავლის ფულს ამდეხან სამ მანეთს იხდიდენ, ახლა ოთხს თხოულობენ.

## ფიქრის მორევში.

ალბათ გახსოვთ იმ დეპეშის შინაარსი გუშინდელი „იმერეთის“ „ახალ ამბავში“ რომ იყო მოყვანილი. ქალაქის მოურავი აცნობებდა ოლქის მზრუნველს და სთხოვდა, სანამ ჩვენგან დასაბუთებული განმარტება მოგივიდოდეთ, მოსწერეთ აქაურ დირექციას—დროებით შეაჩეროს და ნუ დაავალებს ქალაქის პირველდაწყებით შკოლების გამგეებს—ახალი ნუსხა შეადგინონ გაკვეთილებისა, რომელი ნუსხაც 1881 წლ. სასწავლო გეგმას არ შეეფერებაო.

დიახ, ამ ახალმა ნუსხამ, ახალმა განკარგულებამ დიდი აშფოთება გამოიწვია აქ.

ჯერ 1881 წლის სასწავლო გეგმა რა საფუძვლიანი, რომ იმის გაუქმება კიდევ მოიწადინეს...

იკამათა, იმსჯელა ქალაქის საშკოლო კომისიამ, შკოლების გამგეებთან ერთად და შედეგი ბჭობისა იყო ის დეპეშიც.

მაგრამ...

გატყდა ციხე შიგნიდან!

დაუჯერებელი ცნობა მოგვივიდა გუშინ.

ქალაქის შკოლების სამს გამგეს, ტრიუმვირატს არ მოუცდია არც დეპეშის პასუხისათვის, არც ქალ. საბჭოს განმარტებისათვის და უსტარი წარუგზავნია, სადაც ჯერ არს;—ჩვენ მონა-მორჩილი ვართ თქვენი განკარგულებისა, შევადგენთ თქვენი მოწერილობისამებრ ახალ ნუსხას გაკვეთილებისას და ახალი პლანით ვასწავლითო...

არა გვიშავს, სანამ ასეთი „პლანის“ ხალხი გვეყოლება...

ჩვენ არ გვჯერა, არ გვინდა დავიჯეროთ ეს ამბავი!

ო, რა კარგათ იქნებოდა ჩვენი საქმე, რომ ასე ხშირათ, ასე უხვთოთ არ გაგვიჩნდებოდენ ციხის შიგნიდან გამტეხელნი!

დ.

## დავარცხნილი თმა.

ოლღა დღეს საღამოზე მიპატიჟებულია და დიდის ამბით ეწყობა.

ორი გოგო ქალბატონს გაფაციცებით თავს დატრიალებს.

ოლღა ახალგაზდაა.

მისი სახე სიმშვენიერესთან ერთად ახალგაზდობის შუქს აფენს.

მოსული, სწორი ტანი აბრეშუმის ცისფერ კაბაში საუცხოოთ იხატება. ნასადილევს განძრახ დაიძინა, რომ მის შავს თვალებს ხალისის ცეცხლი უფრო მკაფიოთ დასჩენოდა.

ქალის სიკოხტავეს ვაჟი უფრო ხშირათ იმით აგასებს, თუ როგორ აქვს თმა დავარცხნილი, გაკეთებული, უხდება თუ არა, და ოლღამაც ამ საღამოს სასურველს მიაწია, როცა თმა კაბის ფერი ლენტით გადაიკრა და შიგ ბრილიანტის ქინძისთავი მიიმაგრა... იგი დაემსგავსა იმ ზღაპრულ მზეთუნახავს, რომლის აწერის დროს ბავშობისას ხშირათ ატაცებულვართ.

— უთხარით ბატონს, რომ მზათა ვარ!—მიუბრუნდა ოლღა მსახურს.

ცოტა ხანს შემდეგ ოლღას ქმარი შემოვიდა; ისეც კოხტათ გამოწყობილ იყო. შავი თმა შუა გაეყო, ულვაშები აეწკიპა, სურნელებით აბჭორებულიყო.

— როგორი ვარ?—დაეკითხა ოლღა ქმარს.

— საუხოოო, ჩემო ძვირფასო, საუცხოო...

მაშ მზათა ხარ?

— მზათა ვარ! გოგო, მოსახურავი!

ოლღა წინ მიდიოდა. სანამ წინკარში გავიდოდენ, ქმარმა ხელი გადააჭდო, გადმოუწია კისერი და აკოცა.

— თმა, თმა! ღმერთო!—მიაკივლა ცოლმა... მოტრიალდა და სარკეს მიაშურა. უხეირო! აბა, რადროსია! ამიბურდე! აი, შეხედე, შეხედე... ერთი საათი კიდევ სარკესთან უნდა... უზდელო!..

ქმარი მიხვდა, რომ დააშავა, რადგან გაახსენა—როცა ქალი საღამოზე წასასვლელათ ემზადება, მაშინ იგი ქმრის სიამოვნებაზე ყველაზე ნაკლებათ ფიქრობს.

პ. ჯორჯიკია.

## სამშაბათელა.

ხშირათ ჩავფიქრებულვარ იმაზე—ენაა კაცი, თუ კაცია ენა.

სიტყვა „კაცი“ სულაც რომ არ ყოფილიყო, რა დაშავდებოდა მითი?!

მეტყველი და პირუტყვი!—მორჩა და გათავდა!—გელქუნასი არ იყოს.

სიტყვა კაცი სულაც არ უნდა ყოფილიყო სახელწოდება იმ არსებისა, რომელსაც ადამიანის ყველაფერი გააჩნია და კაცობა კი არა აქვს. კაცს თუ ვეტყოდით, მისთანა უნდა ყოფილიყო, რომ მართლა კაცი ყოფილიყო, კაცად კაცი, ზეკაცი! თვარა თავწაყრით როცა ყველას კაცით-ვუძახით, რაღაც ლამაზი არ გამოდის.

ყოველი მეტყველი კაცი არაა. კაცი პირუტყვი კი ბევრია.

ენა მაქვს, მეტყველი ვარ და კაცი ვარო, რომ იძახო—სინამდვილეზე და ჭეშმარიტებაზე ისე შორს იქნები, როგორც აქიდან და მე ქადა რა გინდ თავის ქექა აგიტყდეს, კაცობას ვერ დაიჩემებ.

თუ კაცი ხარ და ენა და მეტყველობა გაქვს, ისე იენე და იმეტყველე, რომ შენი შენიანმა გაიგოს. ფლავს რო ჩლავი უთხრა, ვინ რას მიგიხვდება.

მერცხლის ჭღურტულს ყვავი რას გაიგებს, იადონის კვნესას ვერ მიხვდება ვირი; მტრედის ღუღუნი უქია ბატისთვის, შაშვის გალობის ხმაა ინდაური....

და ბედაური კაციც ამაყობს მითი, რო მეტყველია... განგებამ მას ენა მისცა სხვადასხვა ენა... სხვადასხვა მიდამოში გასტყორცნა, სხვადასხვა ბუნებაში, პირობებში და ენაც ყოველი ამის მიხედვით აამეტყველა.

ბარის მცხოვრები, რო მთად მიიჭრას თავის უსტარით, ან მთიული ბარად—ეს ხო ბაბილონის გოდოლი იქნება...

ყვავს მერცხალივით ვერ ააჭღურტულებ, ვირს იადონისებ ვერ აკვნესებ, ბატს მტრედის მზგავსათ ვერ აღუღუნებ და ინდაურს შაშვის გალობას ვერ ათქმევინებ... ხომ მართალია? თვით პირუტყვსაც კი ვერ გადააურჯულებ...

და მეტყველის გაპირუტყვებას რათ სცდილობენ?!.....

მაგრამ....

მივდიოდი. ჩემს უკან ჯარათ ქალიშვილები მოდიოდენ. ერთმა კითხა მეორეს: დღეს ნიკოლოზობაა, ეკლესიაში ნე იდიოდ?.—როცა აბიაზანა ვიყავი მაშინაც არ დავდიოდი, თვარა ტეპერ რაზე წავალ!—იყო პასუხი...

მივიხედე, კარგები იყვენ, მარა მართლა „აბეზიანებით“ მომეჩვენა იმ წამს ყველა.

სამშაბათელა.

## სოფ. მამასახლისების არჩევნების გამო.

დადგა დრო მამასახლისებისა და სხვა სოფლის მოხელეების არჩევნებისა სოფლათ. ზოგან უკვე დასრულდა არჩევანი, ზოგან აწი უნდა მოხდეს. მამასახლისის არჩევნები, მეტს ყურადღებას უნდა იქცევდეს, რადგანაც სოფლის ბედ-იღბალი სამი წლის განმავლობაში ცოტათ თუ ბევრათ, მასზეა დამოკიდებული. გზების კეთება, კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულების დაარსება და ბევრი სხვა საქმეც მამასახლისის უნარზეა, მის სიავ-კარგზე. დღევანდელი კანონების საზღვრებშიც შეუძლია მამასახლისს სოფელს ასე თუ ისე მამობა გაუწიოს.

მაგრამ ასე უყურებენ მამასახლისობასა ისინი, ვინც არჩევნების დროს ნაბად-ქურქებში ჩაცმულები გამობძანდებიან?

სამწუხაროთ არა. ამათ მამასახლისობა სოფლის საჯიჯგნ-სათლელ ხელობათ წარმოუდგენიათ და, ამიტომ არის, რომ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ოღონდ კი მამასახლისობას ეღირსონ. ამ შემთხვევაში საინტერესოა ენერგიული მოქმედება მამასახლისის. არჩევნებში იმათი, ვისაც ის სრულიად არ შეეხება და არც აქვთ ხმა არჩევნებში.

რა მოსაზრებით მოქმედობენ ისინი და შესაძლებელია, იკითხოს მკითხველმა, შესაძლებელია ინაწილებდეს საწყალი გლეხის სატკივარს?

ასე რომ იყოს კარგი დაგემართოთ, მაგრამ ამათ სულ სხვა მუცლის ტკივილი აქვთ!

მათ უნდათ მოხელეებათ თავისი მონა მორჩილები გაიყვანონ, რომ შემდეგ თავისუფლათ იპარპაშონ სოფელში, აკეთებინონ მოხელეს ის, რასაც უბრძანებენ. ერთი სიტყვით მათ სურთ—მოხელის სახელს მათი მონა მორჩილი ატარებდეს და საქმეს კი ისინი განაგებდენ. ამ შემთხვევაში, ადვილი მისახვედრია,—მეტი ნაწილიც „შემოსავლის“ მათს ჯიბეებში ჩაჩხრიალდება. აი, რა აწუხებს და ამოქმედებს მათ, აი, როგორ იზიარებენ ისინი გლეხობის სატკივარს!..

მიზნის მისაწევათ საშუალებაც, რასაკვირველია, მშვენიერი აქვთ: რომელიმე „გავლენიანი“ პირი შემოიკრებს თავის გარშემო თანამოაზრეებს სხვადასხვა სოფლებიდან და ადგენს ერთგვარ კავშირს. კავშირის წევრები, როგორც ამბობენ ხოლმე, „გამოქექილი“ უნდაიქნენ საქმეებში. აი, ესენი ურჩევენ თავის კუთხის გლეხებს, ნათესავ-ნაცნობებს, მისცენ ხმა მათს კანდიდატს და სამაგიეროთ რას არ პირდებიან. უკიდურეს შემთხვევაში მუქარასაც კი მიმართვენ ხოლმე. შეგნებული გლეხიც უმეტეს ნაწილათ ებმება მათ ქსელში და უთხრის სამარეს, როგორც თავის თავს, ისე მოძმეთ. თუ მიზანს ვერ მიაწიეს, იწყებენ არჩეულ პირის დაბეზღებას, სადაც ჯერ არს და მოსვენებას არ მისცემენ, სანამ არ მიიკვლებენ, ან არ გამოცვლიან.

სოფლის შეგნებული ნაწილის მოვალეობაა ურჩიონ გლეხებს არ გაებან მათს მახეში, ნუ აყვებიან მათს დაპირებას, მუქარას, იმოქმედონ მათ დამოუკიდებლათ. თავის ბედი თვით ეძიონ შეგნებით და მტერ-მოყვრების გავლენით.

მთისძირელი.

## შავიქვის მრეწველთა მე XV კრება.

### მეექვსე სხდომა.

შავი ქვის სასწორებთან ხშირათ უხთებათ მუშებს ჯგუფ-ჯგუფათ გაჩერება და ლოდინი სანამ სასწორი გაიცლებოდეს, რაც ცუდი ამინდის დროს მათთვის აუტანელია; ამიტომაც მუშები მოითხოვენ ყოველ სასწორთან ფარდული ყოფილიყო, თავშესაფარებლათ და სანამ ფარდულები აშენდებოდეს მოგვეცეს გადახურული ვაგონებიო. კრებამ საჭიროთ სცნო მუშების ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რისთვისაც რკინის გზის სამართველოს კრების სახელით დეპეში გაეგზანა. შემდეგ კრება შეეხო სტიპენდიანტების საქმეს, რამაც დიდი კამათი გამოიწვია. გ. ფ. ზდანოვიჩს შეაქვს ასეთი წინადადება: გადაეცეს სტიპენდიანტებიდან დაბრუნებული ფულების ორი წილი ჭიათურის წ. კ. გ. განყოფილებას, ერთი კი ქუთაისისას, იმ პირობით, რომ ჭიათურის წ. კ. განყოფილებამ მრეწველთა შვილებს და ნათესავებს და უნიშნოს სტიპენდია, ქუთაისისამ კი ვისთვისაც საჭიროთ დაინახავს.

სტიპენდიები დაინიშნოს დაბრუნებული ფულის სარგებლიდან. ვაშაძის აზრით ზედმეტია ფულები გადავსცეთ ქუთაისის წ. კ. განყოფილებას, ვინაიდან ჭიათურის და ქუთაისის წ. კ. განყოფილებებში არავითარი განსხვავება არ არის; უმჯობესი იქნება მთელი ფული ჭიათურის განყოფილებას გადავსცეთ იმ პირობით, რომ ორი წილი მრეწველთა შვილებს და ნათესავებს დაენიშნოს, ერთი წილი კი გარეშე პირებსო.

გ. [illegible]ურიშვილი წინააღმდეგია, დაბრუნებულ ფულებიდან ხელ-ახლა სტიპენდიები დაინიშნოს. უმჯობესია ეს ფული სხვა საქმისთვის მოვიხმაროთ. ყველამ ვიცით, რა უნუგეშო მდგომარეობაშია სახალხო განათლება; კარგი იქნება დაბრუნებული ფულები სახალხო განათლებას მოვახმაროთო.

გ. ს. წერეთელი აცხადებს, რომ დაბრუნებული ფული გადაეცეს წ. კ. განყოფილებას. საზოგადოებამ, ვისაც [illegible] მას დაენიშნოს. თუ ჩვენ საზოგადოებას დავაკისრეთ, რომ დაბრუნებული ფულის ორი ნაწილი მრეწველთა [illegible] მოხმარდეს, ამით [illegible] თომას ჩავიდენთ. წ. კ. განყოფილება იძულებული იქნება სტიპენდია დაუნიშნოს პერსენაკის, ან ვინმე სხვა მრეწველის შვილს, რომელიც დახმარებას სრულიად არ საჭიროებს. მთელი დაბრუნებული ფული გადაეცეს ჭიათურის საზოგადოებას და როგორც საჭიროთ დაინახავს ისე მოიხმაროს. წ. კ. საზოგადოება ამ მხრით სრული ნდობის ღირსიაო. კრებამ დაადგინა მთელი ფული ჭიათურის წ. კ. გან. გადაეცეს და სრული უფლება ექნეს სტიპენდიების გაწესრიგებაშიო. ჭიათურის სამკითხველოს თაობაზე კრებამ დაადგინა: გადაეცეს ბიბლიოთეკა ჭ. წ. კ. გამ. საზ. განყოფილებას როდესაც ბიბლიოტეკის საქმე მოწესრიგდებაო.

# სახელმწიფო სათათბირო.

თავჯდომარეობს როძიანკო. განსახილველია მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის დეკლარაცია.

პურიშკევიჩი აცხადებს, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის განცხადებას მემარჯვენეებს მხოლოდ უარყოფით შეუძლიათ მოეკიდენ. კანონ-პროექტების ჩამოთვლა მხოლოდ მრავალ ტომიან შრომის სათაურს წარმოადგენს. იგი არ გვაძლევს წარმოდგენას სახელმწიფოებრივ მუშაობის ხასიათის შესახებ. მემარჯვენენი მთავრობისაგან თხოულობენ ისეთს მუშაობას, რომელიც რუსეთის იმპერიაში თვითმპყრობელობას განამტკიცებს. მემარჯვენეებს უნდათ მთავრობა იყოს მთლიანი რამ, რადგანაც რუსეთი ცუდს დროს განიცდის: მემარცხნე პარტიები, მიუხედავათ გარეგნული ლოიალობისა, განაგრძობენ თავიანთ გამანადგურებელ მუშაობას, გლეხთა საკუთრების ლიკვიდაცია საშიშ სახეს იღებს, ვითარდება პრესა ხალხის სულსა რყვნის. საკვირველია მოწოდება საერთო მუშაობისათვის განაპირა ქვეყნებში, როდესაც გერმანიასთან ომის მოლოდინში, პოლონელები აჯანყებას ამზადებენ, როდესაც ფინლიანდია საერთო საიმპერიო კანონმდებლობას ობსტრუქციას უწევს, როდესაც უკრაინაში ვრცელდება მაზეპიზმი, როდესაც საზღვრებზე საშინლათ იზრდება გერმანელთა რიცხვი. მთავრობამ დაივიწყა მემარჯვენეთა დამსახურება 1905 წელს, დაივიწყა, როგორ ეხმარებოდენ მთავრობას. მიზეზი ის არის, რომ მინისტრთა საბჭოს ახლანდელ თავჯდომარეს საფინანსო ორიზონტები უფრო საყურადღებოთ მიაჩნია, ვიდრე სახელმწიფოებრივი. მეორე მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ფაქტიურათ შეერთებული კაბინეტი არა გვაქვს. მემარჯვენეებს სწყურიათ შკოლის განკურნება, ახალი საუნივერსიტეტო წესდება, ახალი საპოლიტიკო წესდება, კანონი ბეჭდვითი საქმის შესახებ; მემარჯვენეებს უნდათ, რომ მინისტრის ცირკულიარებმა არ გააუქმონ ხოლმე კანონები, როგორც მოხდა, მაგალითად, ებრაელების შესახებ. მემარჯვენეებს უნდათ უზრუნველყონ მიწით გლეხები 9 ნოემბრის კანონის განხორციელებით და საგლეხო ბანკის დახმარებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რუსეთის ძლიერების განმტკიცებას.

თუ ომი დაიწყო, იგი უსათუოდ შეაერთებს ერთი საპატრიოტულის გრძნობით მთელს ხალხს, განურჩევლად პარტიული უთანხმოებისაო. დასასრულ ორატორი ამბობს, მთავრობის მიზანი უნდა იყოს სახელმწიფო ძალის განამტკიცება და მხარის დაჭერა ისეთი პარტიებისა, რომლებმაც დაამტკიცეს სამშობლოსადმი სიყვარული და თავისი ლოიალობაო (ტაში მარჯვნით).

მალინოვსკი. ახლანდელი დეკლარაციაში წინანდელი ლოზუნგის ნაცვლად. „ჯერ დამშვიდება, მერე რეფორმებიო“. ვხედავთ [illegible]დებას მუშაობისთვის. მაშასადამე, [illegible] ხედავს განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას, რომელიც აიძულებს მას დათმობის გზას დაადგეს. მთავრობა მხოლოდ შეძლებულ კლასთა ინტერესებს იცავს. საერთაშორისო პოლიტიკაში მთავრობა იმ მიზანს ემსახურება, რომ მისი ყურადღება ქვეყნის შინაურ საქმეებს მოაშოროს. სოციალ-დემოკრატები პროტესტს აცხადებენ ომის წინააღმდეგ და უერთდებიან საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე გამოთქმულ აზრებს. მრეწველობა კოჭლობს, მცხოვრებლები იხრჩობიან უუფლებობაში, სახელმწიფო ვალი იზრდება; 250 კანონ-პროექტი საქმეს ვერ უშველის.

მაკლაკოვი. რუსეთი კანონების ჩამოთვლას, კი არ ელის, არა მაღალ-მაღალსა და ლამაზ სიტყვებს, არამედ განცხადებას, რომ შეუძლებელია სიარული იმ გზით, რომლითაც ხუთი წელიწადი მივდიოდით, რომ იგი უსათუოთ უბედურობამდი მიგვიყვანს. ჩვენ ყველა რუსები, ვერ ვიტყვით, რომ ამაყათ ვუცქერით იმ მდგომარეობას, რომელიც განახლებულმა რუსეთმა დაიჭირა იმ დროს, როდესაც იშლება მსოფლიო ისტორიის ფურცელი. მე ერთი იმათგანი ვარ, რომელთაც სურთ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვებში მეტი გარკვეულობა იყოს, ითქვას სიმართლე. ითქვას, რომ რუსეთს არ უნდა ომი, მაგრამ იცის კი, სად არის მისი დასაწყისი. უნდა ითქვას, რომ რუსეთს არ უნდა კატასტროფები, მაგრამ არც ეშინია მათი (ტაში ყველა სკამებზე, გარდა უკიდურეს მემარჯვენეებისა და მემარცხნეებისა) მთავრობამ ეს არა სთქვა, ჩვენ გვეუბნებიან, დღევანდელ ისტორიულ მომენტში არა ყოფილა ის, რაც უწინდელ დროს იყო ხოლმეო. აღარ არის მთლიანი რუსეთი, არსებობს ორი ბანაკი: ქვეყანა და მთავრობა. მთავრობაც აღარ ენდობა ხალხს და ეშინია მისი. არსებობს განაწილება და ამ განაწილებით სარგებლობენ ჩვენი მტრები. მინდა ვუთხრა ამ მტრებს, რომელნიც თავიანთ ძალ-ღონეს აზვიადებენ, რომ ძალიან ცდებიან: თუ დადგა დრო, როდესაც რუსეთს თავის მოვალეობის მოხდა დასჭირდება, ჩვენ დარწმუნებული ვართ, მთავრობა არ ისარგებლებს ამ კატასტროფით და არ დაიწყებს ანგარიშის გასწორებას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგებთან. მაშინ ჩვენც, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, დავიწყებთ ჩვენს მტრობას; მაშინ გვეხსომება, რომ მთავრობა რუსეთის ღირსებასა და ინტერესებს იცავს. (ხანგრძლივი ტაში ყველა სკამებზე, გარდა უკიდურეს მემარჯვენეებისა). ამბობენ, რუსეთის სისუსტე იქიდან წარმოსდგება რომ მან თავის ისტორიულ გზას გადაუხვიაო, რომ განახლების საფუძველი მხოლოდ ფორმულაშია: „თვითმპყრობელობა, მართლ-მადიდებლობა და ხალხოსნობა“. ამ ფორმულას სახელი მისმა მომხრეებმა გაუტეხეს, და არა იმან, ვინც ახალ გზებს ეძებდა. ვინ შეარყია მართლ-მადიდებლობა რუსეთში? იმან, ვინც ამბობდა, რომ სინიდისის თავისუფლება არ შეიძლება განხორციელდეს ძალითაო, თუ იმან, ვინც ღვთის მსახურთაგან შექმნა საარჩევნო ფარა (ტაში მარცხნით) რუსის ხალხი, როგორც ნიჭსა და ძალას შეეფერება, მორწმუნეთა ფანატიზმს იწვევდა იმ დრომდი, სანამ არ შეეცადენ გადაექციათ იგი ისეთ ხალხათ, რომელიც შურით შეცქერის სხვას და ხარობს სხვისი დამცირებით (ქება მარცხნით). ჩვენი ისტორიული თვითმპყრობელობა, რომელიც ამაყათა და სრულის უფლებით „შეუზღუდველის“ ტიტულს ატარებდა, ისტორიასვე ჩაბარდა თავის უმაღლეს დღესასწაულის მომენტში,—როდესაც თავის საკუთარ თავს რუსეთის სიკეთე ამჯობინა. იმ ტიტულს სახელს უტეხავენ არა ისინი, რომელთაც მონარქის სიტყვა მიიღეს მთელი თავისი შინაარსით, როგორც ისტორიის გზის შემცვლელი, არამედ მყვირალა მლიქვნელები, რომელნიც ამტკიცებენ, 17 ოკტომბრის მანიფესტით არაფერი შეცვლილაო (ტაში მარცხნით) ძველ ფორმულას ისტორიამ სამუდამოთ ბოლო მოუღო, იგი როგორც სამოქმედო პროგრამა, არავის არ აფრთოვანებს. მაშასადამე, უნდა ვიაროთ ახალი გზით. ორში ერთი უნდა იყოს! ან რუსეთი არ მომწიფებულა თვითმართველობისთვის,

იყიდება ნარდათ
გასენტილი ბამბა
ყველა ხარისხის

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ-ები
ქუთაისში.

მიიღება ბამბა გასა-
რჩევათ და გასასუფთ-
ავათ ძლიერ ზომიერ
ფასათ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო ქუთაისში.
## ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩა, კოკოჩაშვილის სახლი.
ვაქვს პატივი ვაუწყო ქუთაისისა და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთაც, რომ ვინაიდან დიდძალი საქონელი მო-
მიგროვდა, ამა წლის 20 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდი ვნიშნავ არაჩვეულებრივ
## იაფვაჭრობას.
ყოველ საქონელზე, რაც ჩემს სავაჭროში აწყვია ფასი შეუვაჭრებლათ
ვაჭრობა ნაღდზე.
იმედია, საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ჩემს სავაჭროს და, რო მობრძანდება, დარწმუნდება—რა იაფობაცაა იქ.

ერთად-ერთი ცოცხალი ძალა რუსეთ'ში მოხელეები არიან, მაშინ შეცდომა უნდა გასწორდეს, გაუქმდეს სათათბირო და კონსტიტუცია, დაუბრუნდეთ ძველებურ აბსოლიუტიზმს. ან თუ მთავრობა გრძნობს, რომ 17 ოკტომბრის მანიფესტი ერთი იმ რეფორმათაგანია, რომელიც დღეს არა, ხვალ უნდა განხორციელდეს, -მაშინ ეთავრობამ პირდაპირი გზა უნდა აირჩიოს და შეუდგეს 17 ოკტომბრის მანიფესტის განხორციელებას-მხოლოდ ამით მოხერხდება მთავრობის შერიგება ხალხთან. (ტაში ცენტრში და მარცხნით).

## ომი ბალკანეთზე.
### დეპეში.

ლონდონი. კომფერენციის დელეგატები დაესწრნენ ლორდ-მერის მიერ გამართულ საუზმეზე, რომელზეც ლონდონის მრავალი სახელმწიფო მოღვაწე დაესწრო და მათ რიცხვში გრეი და ასკვიტი. ლორდ-მერმა თავის სიტყვაში დელეგატებს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარებისათვის. მას რეშიდ-ფაშამ უპასუხა და მოიხსენია ინგლის—ოსმალეთის ტრადიციული მეგობრობა, ფაშის სიტყვას ტაში დაუკრეს.

ვენიზოლოსმა სთქვა: დელეგატებმა გადაწყვიტეს მტკიცე მშვიდობის დამყარებისთვის ყოველი ღონე მიიღონ.

პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა სადღეგრძელო შემდეგი სიტყვებით დაასრულა: მტკიცეთ მწამს, რომ ლონდონის სამშვიდობო ხელშეკრულობა ისტორიის საუკეთესო ფურცლებათ ჩაითვლებაო.

ოფიციალურათ იუწყებიან: ელჩებმა წინადადება მისცეს თავის მთავრობას და უკანასკნელთაც მიიღეს ალბანეთის ავტონომიის პრინციპი. ამასთანავე მხარს უჭერენ სერბიას, რომ ადრიატიკაში გასავალი მოუპოვონ. 6 დიდი სახელმწიფოს მთავრობამ ამ ორი პუნქტის მიღებაზე თანხმობა გააცხადა.

სოფია. პროგრესისტების ორგანო ,,ბულგარეთი'' კოკოვცევის სიტყვის გამო ამბობს: მინისტრის განცხადება არწმუნებს რუსებს, რომ ბალკანეთის სახელმწიფოების მოთხოვნილება კანონიერია და რუსეთიც ამ მოთხოვნილებას მხარს დაუჭერსო.

ცეტინიე. მთავრობის მახლობელი წრეებიდან ცნობაა, რომ ხალხი ძალიან დაღონებულია, რადგან სკუტარის მოპოებაზე მათი სირვილი არ სრულდება. ხალხი ომის გაგძელებას მოითხოვს, სანამ სკუტარას არ ავიღებთო და ნურც დიპლომატიურ მოლაპარაკებას მოუცდითო ამ საკითხის გადაწყვეტასო.

## დეპეში.
(პეტ. დეპ. სააგენტო).
### საზღვარგარეთი.

სოფია. „ნაროდ ნილისტ“-მა კოკოვცოვის სიტყვა გაარჩია და სიხარულით აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა ბალკანეთის სახელმწიფოებს გულითადი სიმპატიური გრძნობით ეპყრობა. გაზეთის აზრით ასეთი გმირული სიტყვა მას შეუძლია წარმოსთქვას, ვისაც ზურგს კარგათ მოწყობილი ჯარი უმაგრებსო.

ჩეხების სახელმწიფოებრივი მემარჯვენე-პროგრესისტების პარტიის ორგანო ,,სამოსტანოსტი'' ამბობს: კოკოვცევის სიტყვამ ყოველი ეჭვი გაფანტა. იმის სიტყვაში მტკიცე აზრია გამოთქმული, რომ რუსეთის, როგორც ოფიციალური ისე არა ოფიციალური ნაწილი, სლავიანების ტრადიციის ერთგული რჩებაო.

ბუდაპეშტი. უნგრეთის გაზეთების უმრავლესობა კოკოვცევის სიტყვის მშვიდობიანურ კილოს აღნიშნავს: ზოგი მათგანი შიშობს—სლავიანთა სიმპატიამ ცუდი შედეგი არ გამოიწვიოსო. ზოგიც კოკოვცევის სიტყვაში ავსტრია-უნგრეთისადმი მუქარას ხედავს.

ბერლინი. ,,კელინშე ცაიტუნგ''-ი ბერლინის პრესის მიერ კოკოვცევის სიტყვის დაფასებას შეცთომათ სთვლის. მისი აზრით პრესამ ვერ გაარკვია კოკოვცევის სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა. კოკოვცევი ერთი მხრით თითქოს მშვიდობიანობის დაცვის მომხრეა და მეორე მხრით კი სახალხო წარმომადგენელთა აზრის მიხედვით მოქმედებას აპირებსო.

## მოკლე პასუხი
### ბ-ნ ნახურცილოელს.

თავის უმართებულო და უსამართლო ბრალდებანი ბ-ნ ნახურცილოელს, როგორც თვით ,,იმერეთის'' № 32-ში აღიარებს, ,,თამაკონის საზოგადოებაში ყოფნის დროს ხალხისაგან გაგონილი საყვედურების'', ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, აქ შეკრებილი ჭორების ზედგავლენით შეუთხზავს, ეს ,,გაზეთის ფურცლებზე აღუნიშნავს'' და პატივცემული მკითხველი საზოგადოება შეცთომაში შეუყვანია. ობექტიური და საქმის სიყვარულით მომქმედი ადამიანი კი ამგვარ ყურმოკრული ამბებით არ დაკმაყოფილდებოდა, საქმის მდგომარეობას უფრო დაახლოვებით და დაწვრილებით გაეცნობოდა და ამის შემდეგ საზოგადოებასაც მიუდგომელსა და უტყუარს ცნობებს მიაწოდებდა. მაშინ, ღრმად დარწმუნებული ვართ, ასეთ, მეტი რომ არა ვთქვათ, ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულ სიტყვებს, აღარ იტყოდა—,,ბაღი ღვთის ანაბარათ დარჩა და კერძო საკუთრებათ გახადესო'', რადგან დაინახავდა, რომ აქ ყველა ბაღის წარმატებაზე ზრუნავს და აქედან კერძოთ არავის ჯერჯერობით არაფერი მიუთვისებია. მაშინ ჩვენი კორესპონდენტი სინამდვილის წინაშე თვალებს ვერ აიხვევდა და საჯაროთ აღიარებდა, რომ შკოლა საზოგადოებაში მეტათ სასარგებლო და საჭირო ცოდნასავრცელებს და ხალხს ყოველ წლობით ნერგებსა და თესლეულობას მართლაც ურიგებს; მაშინ ბ—ნ ნახურცილოელს ისიც ეცოდინებოდა, რომ ბაღში გლეხებს უფასოთ არავინ ამუშავებს და ამისთვის შკოლის საშვალებით მუდმივი მუშა გვყავს დაქირავებული. შეიტყობოდა იმასაც, რომ ნორჩი ბაღი ჯერ არაფერ ისეთ საგრძნობელ შემოსავალს იძლევა და ის მცირე შემოსავალი კი თვით ბაღისა და შკოლის შენობის შეკეთებას უნდება. კიდევ ბევრ რამეს, თავის ნათქვამის წინააღმდეგს, დაინახავდა ბ-ნი ნახურცილოელი, მაგრამ ყველა ამის აქ ჩამოთვლა ერთობ შორს წაგვიყვანს, რაც მკითხველისათვის ასე რიგათ საინტერესო არ არის და ამისთვის ამით ვათავებ. თუ ბ-ნ ნახურცილოელს მართლა გული შესტკივა და ინტერესებს ჩვენი საზოგადოების, მისი შკოლის და ბაღის ბედ-იღბალი, ვთხოვთ მობრძანდეს შკოლის სამზრუნველოს სხდომაზე, რომელიც ამ წლის მიწურულში გვექნება და აქ საბუთებით ხელში ვეცთებით დავანახვოთ, რომ ბაღი თავის დანიშნულებას პირნათლად ასრულებს, ყველა თავის მოვალეობას კეთილსინდისიერათ ემსახურება და არავითარი ბოროტმოქმედებას ადგილი არა აქვს.

ალ. სალარეიშვილი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ორიოდე სიტყვა მოვახსენო ქუთაისის ტელეფონების მართველს. 27 ამ თვეს, როდესაც მე გამყავდა ელექტრონის მავთული თეატრი „რადიუმისათვის“ და სვეტზე ვიყავ ასული მავთულის გასამბელათ, ამ დროს დაბლიდან უშვერი გინება მომესმა, რამაც ცოტა არ იყოს შემაფიქრა; როცა ძირს ჩამოვედი, ვნახე მოხუცი, რომელმაც თავისი განაგრძო.—„თქვენ ასეთ-ისეთებო რა იცით მავთულების გაბმა! ჩემს მეტს განა შეუძლია მავთულების გაბმა“? და გაცხარებული წავიდა. არ გასულა ერთი საათი ამას შემდეგ, ერთმა ჩემმა მომხმარეთაგანმა გადმომცა, ის კაცი „რადიუმის“ პატრონს შეხვდა და გლანძღავდაო.. „რადიუმის“ პატრონმაც ეს გადმომცა და თანაც დასძინა: მითხრა მასალა ცუდიაო, მე მაქვს უკეთესი მასალაო, ჩემს კაცებსაც მოვიყვან და მე გავაკეთებო... ის მოხუცი ვეშაპიძე ბძანებულა ... ქუთაისის ტელეფონის მართველი. ძალიან ვწუხვარ და მაკვირებს—ლანძღვა-გინება, სხვისი დამცირება და სხვა, იმისთანა მოხუცს განა შეფერის? იქნება, ის დიდი მცოდნე ბძანდება და არ ეკადრება მით უფრო, სხვისი აბუჩათ აგდება, როცა ამ სხვასაც გაეგება იმ საქმისა, რომელსაც ქუთაისში ასე „წარმატებით“ უძღვება ის მოხუცი.

ვ. ამაშუკელი.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ, ამ პატარა წერილს მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში:

წასულ ზაფხულში ჩემსა და ბ. კოწია თავართქილაძის შორის ატეხილი დავის გამო დანიშნული იყო სამედიატორო სასამართლო, მაგრამ რადგანაც ჩემი მედიატორეები ბ. გრ. გიორგაძე და სერგეი ფაფარიძე სხვადასხვა მიზეზების გამო არ იმყოფებოდენ აქ, ამიტომ სასამართლო არ შესდგა და საქმე დღესაც გაურჩეველია. ახლა უმორჩილესათ ვთხოვ ბ. კ. თავართქილაძეს—დანიშნოს დრო, თუ როდის იქნება თავისუფალი საქმის გასარჩევათ. აგრეთვე უმორჩილესათ ვთხოვ ჩემს მედიატორეებს ბ. ისიდორე კვიცარიძეს და სერგეი ჯაფარიძეს პატივი მცენ შემწირონ თითო დღე მოხუცებულ კაცს და გამითავონ საქმე თავართქილაძესთან, რომელიც ეს მერვე წელიწადია ჩემი ძმისწულის ეგნატე ნინოშვილის ნაწერებს ბეჭდავს და სარგებლობს, ხოლო მე ერთად ერთს მემკვიდრეს და პატრონს ნაწერებისას ერთ გროშსაც არ მაძლევს.

ალექსი ინგოროყვა.

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. შელიძე

ახლადგახსნილი სამანუფაქტ. მაღაზია
## გ. დ. კაჭკაჭოვისა.
(გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ).
საზოგადოების თხოვნით დიდ
## იაფვაჭრობას
ვაგძელებ 25 დეკემბრამდი.
სადაც გაიყიდება მაუდების, შალების, აბრეშუმების,ტილოებისა და ბამბეულობის მატერიები, მაგიდის თეთრეულები, ტიულის ფარდები და შეკერილი „რუბაშკები.“ ფასები ქარხნებისაა და მასთან უვაჭროთ. ვიმედობ, რომ პატივცემული საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას საქონლის სიაფეს და მით ისარგებლებს შემთხვევით
პატივისცემით გ. დ. კაჭკაჭოვი




## იულიუს სარეკ
მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა
და
მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. დაბათომის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა
იგა ი. ნ.
უფრთხილდით მიმსგავსებას
მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18




## ფილიპე ნ. ჭელიძის
## შამპანური
,,თამარ მეფე'' და ,,გოლხიდა''



ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.
ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპეციალისტის მეთვალყურობით.
ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა
ქუთაისში მიტანას ფირმა კისრულობს
ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.
პრეისკურანტი მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.
მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელიძე.
მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში.
ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთან.




მაღაზიაში იყიდება გრამოფონები, მუ-
სიკის ინსტრუმენტები, საკერავი მან-
ქანები, ველოსიპედები და მათი მოწყობილო-
ბა. ვიღებ შეკვეთებს, როგორც ნაღდზე, ისე
ფულზე ნისიათ, (თვიური შემოტანით).
ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება უველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

## ალექსანდრე კოსტავას
## ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში
თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.
ახლათ მივიღეთ: კოსტუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი ტანისამოსი 25% ნაკლებ იყიდება, რადგანაც სეზონი გადის და ბევრი ჩამოგვრჩა. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტუმო მატერია კაცებისათვის.

ელექტრო-საბეჭდავი შერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.